შელოცვები, თილისმები და ტივალა (მოჯადოების ან სიყვარულის მოზიდვის ტიპი) — არის ალლაჰთან თანაზიარის დადგენა (შირქი)

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან, რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «შელოცვები, თილისმები და ტივალა (მოჯადოების ან სიყვარულის მოზიდვის ტიპი) — არის ალლაჰთან თანაზიარის დადგენა (შირქი)».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

მოციქული განმარტავს ისეთ ქმედებებს, რომელთა გაკეთებისას ადამიანი ვარდება მრავალღმერთიანობაში (შირქში). და მათგანია: პირველი: შელოცვები — ეს არის სიტყვები, რომლებიც შეიცავენ მრავალღმერთიანობას (შირქს), და მათი მეშვეობით წინაისლამური უმეცრების ეპოქაში ადამიანები ცდილობდნენ განკურნებას. მეორე: თილისმები მძივებისა და სხვა საგნებისგან, რომლებსაც კიდებენ ბავშვებზე, ცხოველებზე ან სხვადასხვა ობიექტებზე, რათა დაიცვან ისინი თვალის ცემისგან (ბოროტი მზერისგან). მესამე: მოჯადოება(თივალა), რომელიც ხორციელდება იმისთვის, რომ მეუღლეს თავისი მეუღლე შეაყვაროონ. ეს ქმედებები მრავალღმერთიანობის (შირქის) გამოვლინებაა, რადგან ისინი მიაწერენ მიზეზებრიობას იმას, რაც არც შარიათის მტკიცებულებებით არის დადასტურებული და არც გრძნობების გამოცდილებით, რომელიც დამტკიცებულია ექსპერიმენტით. მიზეზები, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია შარიათის თვალსაზრისით, მაგალითად, ყურანის კითხვა, ან გრძნობითი გამოცდილების თვალსაზრისით, როგორიცაა წამლები, რომელთა ეფექტიანობა დადასტურებულია ექსპერიმენტებით. ამავდროულად, აუცილებელია მტკიცედ გჯეროდეს, რომ ეს მიზეზები მხოლოდ საშუალებებია, ხოლო სარგებელი და ზიანი მხოლოდ ალლაჰის ხელშია.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5273